გთავაზობთ ქალთა საინფორმაციო ცენტრის 2022 წლის 10 ძირითად მიღწევას:

1. ქსც-მ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით:

    - მოამზადა და CEDAW კომიტეტს წარედგინა გაერთიანებული ალტერნატიული ანგარიში, 29 არასამთავრობო ორგანიზაციის მონაწილეობით.

    - ქსც-ს თანამონაწილეობით, მომზადდა და CEDAW კომიტეტს წარედგინა ალტერნატიული ანგარიში აქცენტით - ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობა; ანგარიში მოამზადა ორგანიზაციამ "Equality Now", არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

    - GREVIO-ს ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა ალტერნატიული ანგარიში, სტამბოლის კონვენციის შესრულების შესახებ. ანგარიშის მომზადებაში ქსც-მ აქტიური მონაწილეობა მიიღო.

2. ქსც-მ პარლამენტში ორი საკანონმდებლო ინიციატივა წარადგინა:

    - ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, გენდერული სტატისტიკის სრულყოფის მიზნით.

    - "ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათშორისი კომისიების" შექმნის მიზნით.

3. ქსც-სთან თანამშრომლობით, გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაციის მიზნით, საქართველოს ხუთ მუნიციპალიტეტში პირველად, შექმნილია და ფუნქციონირებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიები (ზუგდიდი, ხაშური, ბოლნისი, ხარაგაული, ქედა).

4. ქსც აგრძელებს მუშაობას ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის (Task force) ფარგლებში, რომელიც 2014 წელს ორგანიზაციის ინიციატივით შეიქმნა. აღნიშნული ჯგუფი მუშაობს საკანონმდებლო ინიციატივის დახვეწის მიმართულებით და გენდერული კვოტირების მექანიზმის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული.

5. ქსც-მ აქტიური მონაწილეობა მიიღო 2022-2024 წლების რიგით მეოთხე სამოქმედო გეგმის "ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" შემუშავების პროცესში და წარადგინა რეკომენდაციები, რომელთა დიდი ნაწილი გათვალისწინებულია გაეროს რეზოლუციების განხორციელების აღნიშნულ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში.

ქსც აქტიურად თანამშრომლობს ექვს მუნიციპალიტეტთან (წალენჯიხა, ზუგდიდი, მესტია, საჩხერე, ხაშური, თეთრიწყარო) გუს რეზოლუცია 1325-ის ლოკალიზაციის ეფექტიანი განხორციელების ხელშესაწყობად.

6. ქსც-მ ეფექტიანი საინფორმაციო და ადვოკატირების კამპანიის წარმოების მიზნით, სამი კვლევა ჩაატარა:

- **გენდერული სტერეოტიპებისა და მავნე წეს-ჩვეულებების კვლევა საქართველოს ხუთ მუნიციპალიტეტში;**
- **სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის ზეგავლენა ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკაზე;**
- **საქართველოში კონფლიქტით დაზარალებული თემების საჭიროებების შეფასება გენდერულ ჭრილში.**

აღნიშნული კვლევების მიგნებები აქტიურად გამოიყენება მედია ადვოკატირების კამპანიაში და რეკომენდაციები შესაბამის უწყებებს წარედგინება. გენდერული სტერეოტიპების და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ კვლევების ძირითად მიგნებებზე დაყრდნობით, შეიქმნა და სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა 10 ინფოგრაფიკა და 11 ვიდეორგოლი.

7. ქსც-მ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, რომელიც მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობის კვირეულს მოიცავდა, ჩაატარა ბლოგების/ ვლოგების და ანალიტიკური სტატიების კონკურსი, რომელიც მიმართული იყო გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობას.

გამარჯვებული 50 ბლოგი/ვლოგი და 10 ანალიტიკური სტატია ხელმისაწვდომია გენდერული საინფორმაციო პორტალის (www.ginsc.net), ორგანიზაციის სოციალური ქსელების გვერდებზე და მედია კამპანიის ნაწილია. აღნიშნული კონკურსის

ფარგლებში, ქსც-ის პროექტის თანამონაწილე 100 ადამიანი გახდა, რომლებმაც გენდერული სტერეოტიპებისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებზე მასალები მოამზადეს.

8. ქსც-მ საგანმანათლებლო კამპანიის ფარგლებში, ქალთა მიმართ ძალადობის, გენდერული პოლიტიკის და გუს რეზოლუცია #1325-ის საკითხების გარშემო, ჩაატარა თემატური ტრენინგები/სემინარები/შეხვედრები, რომლებმაც 1 781 ადამიანი მოიცვა, 1

193 ქალი (67%) და 591 კაცი (33%).

- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, ტრენინგების ციკლის "იყავი მის ადგილას" ფარგლებში, გურიასა და ქვემო ქართლში, ჩატარდა 65 სესია და გადამზადდა 1 137 მონაწილე, 789 ქალი (69%) და 348 კაცი (31%).

- გენდერული პოლიტიკის ეფექტიანი დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, ჩატარდა 28 სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი, რომლებმაც 395 ადამიანი მოიცვა, 210 ქალი (53%) და 185 კაცი (47%).

- გუს რეზოლუცია #1325-ის საკითხების გარშემო, ჩატარდა 52 შეხვედრა, გადამზადდა 166 ადამიანი, 143 ქალი (87%) და 23 კაცი (13%).

- ახალგაზრდებში რადიკალიზაციის პრევენციის მიზნით, ჩატარდა ორი საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა, ერთი საერთაშორისო კონფერენცია და მომზადდა ორი გადაცემა, რომელიც სოციალურ ქსელებში გავრცელდა. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდა 36 ადამიანი, 25 ქალი და 11 კაცი. კონფერენციას 50 დამსწრე ჰყავდა, 26 ქალი (52%) და 24 კაცი (48%).

- მომზადდა მეთოდოლოგიური კრებული „ონლაინ რადიკალიზაციის პრევენცია: მეთოდოლოგიური წინადადებები გერმანიიდან, საფრანგეთიდან და რუსეთიდან“, რომელიც საერთაშორისო ექსპერტული საზოგადოების ერთობლივი მუშაობის შედეგია და მიზნად ისახავს ისეთი პრაქტიკული მეთოდოლოგიების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდებში ონლაინ რადიკალიზაციის პრევენციას.

- მომზადდა მონოგრაფია "მშვიდობის მშენებლობის მეთოდების განვითარება სამხრეთ კავკასიაში", რომელიც აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ექსპერტული და აკადემიური საზოგადოების ერთობლივი მუშაობის შედეგია. მონოგრაფია მთიან ყარაბაღში 44-დღიანი ომის შემდეგ ექსპერტების მიერ შემუშავებული პირველი ერთობლივი დოკუმენტია, რომელშიც წარმოდგენილია ჰუმანიტარული, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო განზომილებებში საფრთხეების შესამცირებლად და ნდობის აღდგენის ღონისძიებების გაზრდის ახალი მეთოდები სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

9. ქსც-ს წარმომადგენლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ დანიაში, კოპენჰაგენში და სხვადასხვა თემატურ შეხვედრას/სემინარს დაესწრნენ.

სასწავლო ტურის ფარგლებში, ქსც-ს გუნდის წევრები დანიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შეხვდნენ. ტური "3F მშრომელთა უფლებებისთვის" ოფისსა და ადგილობრივ LGBT+DK ორგანიზაციაში ვიზიტსაც ითვალისწინებდა.

10. ქსც-მ ჩაატარა ჰუმანიტარული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა ორი საბავშვო ბაღისა და ძეგვის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციარი ოჯახების, მათ შორის თავშესაფარში მცხოვრებ 20 ბავშვის დახმარებას.

bebé